აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

დანართი №3

I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

დაწესებულების სახე:

☐ უნივერსიტეტი;

■ სასწავლო უნივერსიტეტი;

☐ კოლეჯი.

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)
საიდენტიფიკაციო კოდი: 200008650

2. სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა:

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ლიტერატურა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ფილოლოგიის მაგისტრი, სპეციალობით ქართული ლიტერატურის ისტორია |
| კრედიტების რაოდენობა | 120 ECTS |



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

**შენიშვნა:** მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში განათლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფა არ ივსება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **რამაზ ქურდაძე**
(სახელი, გვარი)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ნანა ფრუიძე**
(სახელი, გვარი)



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

## II. სტანდარტები

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

**შეფასება:**

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ლიტერატურული აზროვნების განვითარების პროცესისა და ეტაპების შესახებ; შეამეცნებინოს მხატვრული ლიტერატურა, როგორც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და, ამავე დროს, როგორც მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მონაწილე.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების გავლის შემდეგ შესაძლებელია ქართულ ლიტერატურაში საბაკალავრო დონეზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; სტუდენტი მომზადებული იქნება როგორც პრაქტიკული საქმიანობის, ისე - დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისთვის;

პროგრამის ფარგლებში ფილოლოგიის მაგისტრი მომზადდება მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ვფიქრობთ, უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის - ქართული ლიტერატურა - მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ჩამოყალიბებულია ნათლად, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

**დასტურდება**

- უნივერსიტეტის მისიით;
- საგანმანათლებლო პროგრამით;

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**შეფასება:**



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის მიხედვით და მოიცავს 120 კრედიტს. კურსების კრედიტ-მოცულობა შეესაბამება ასათვისებელი მასალის სირთულეს, რაოდენობასა და სპეციფიკას. გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის სათანადო მეთოდები, რაც არსებითად უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო გეგმაში კურსების განაწილება ძირითადად თანმიმდევრულია და მეტ-ნაკლებად სწორადაა შერჩეული დარგის სპეციფიკისა და პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინებით.

სავალდებულო და არჩევით დისციპლინათა თანაფარდობა დაცულია.

**დასტურდება:**

- საგანამათლებლო პროგრამის შინაარსითა და სასწავლო გეგმით;
- კურსების სილაბუსებით.

**1.3** პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების ერთობლიობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის შესაბამისად; თუმცა სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს ქვემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი რეკომენდაციები.

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო გეგმით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებით;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/ნ ბრძანებით.

**1.4** პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოთვლილია ის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომელთაც შეიძენს სტუდენტი პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. ეს გარემოება კონკურენტუნარიანს გახდის მას და შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე მისცემს დასაქმებისა და, სურვილის შემთხვევაში, განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებით გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს ქართულ ლიტერატურაში დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეეძლება იმსახუროს როგორც სასწავლო (საჯარო და კერძო სკოლები), ისე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, არქივებში, რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელევიზიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ა. შ.).

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამით;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით;
- დეპარტამენტის მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით.

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**შეფასება:**

წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების განვითარება-სრულყოფისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა-ჩამოყალიბების პროცესს განაპირობებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა (ერთი მხრივ, პოტენციური სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, მეორე მხრივ - პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

უნივერსიტეტსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის ურთიერთობა ამ ეტაპზე რეგულირდება მემორანდუმის საფუძველზე; უახლოეს ხანებში იგეგმება შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება სხვა დაინტერესებულო უწყებებთანაც.

**დასტურდება:**

- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის მასალებით;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვით.

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

**2.1** პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას; სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საშუალება ექნებათ საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ და წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების დებულების შესაბამისად ჩარიცხულ ახალგაზრდებს.

**დასტურდება:**

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამით;
- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.

**2.2** პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

**შეფასება:**

სწავლება უმეტესად დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მისი ცოდნის ობიექტურ შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზება, სასწავლო კურსებში გათვალისწინებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, თუმცა რიგ შემთხვევებში საგანთა სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლისა და სწავლების მეთოდების გაწერისას, სასურველია მეტი სიზუსტის გამოჩენა. ამასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ ჩვენი რეკომენდაციები.

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამით;
- სილაბუსების შინაარსით;

**2.3** პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს კურსების ლოგიკურ და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რაც კურსების შინაარსის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა არ მიგაჩნია მართებულად მესამე სემესტრში ლიტარატურის სამი საგნის (მე-19, მე-20 საუკუნეების ლიტერატურებისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის) ერთ სემესტრში სწავლება, ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ ჩვენი რეკომენდაციები.

**დასტურდება:**

- სასწავლო გეგმით;
- სილაბუსების შინაარსით.

**2.4** სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

**შეფასება:**

შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) და №785 ( 21.09.2009) ბრძანებების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესწავლის ხარისხის გამოსავლენად შემუშავებული შეფასების სისტემა მეტ-ნაკლებად შეესაბამება სწავლის შედეგებს და მოიცავს მრავალფეროვან კომპონენტებს (შუალედურ და ფინალურ გამოცდებს; ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრებას; სასემინარო აქტივობას, რეფერატების დაწერას და პრეზენტირებას და ა. შ.).

ვფიქრობთ, სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები პროგრამისა და სალექციო საგნებს სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ კპორექტირებას საჭიროებს, რათა შეფასების სისტემა უფრო მოქნილი გახდეს, იხილეთ ქვემოთ ჩვენი რეკომენდაციები.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო პროგრამით;
- სილაბუსების შინაარსით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით #3 (05.01.2007) ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით №785 (21. 09. 2009);
- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებით.

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

**შეფასება:**

სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის;

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ პირს ევალება, სტუდენტებს პირველივე შეხვედრაზე წარუდგინოს სასწავლო კურსის სილაბუსი (მიზნები, შედეგები, მიღწევის მეთოდები) და შეფასების კრიტერიუმები. ეს უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას და იძლევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება და ფასდება აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული სილაბუსის და მასში გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებით;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

**3.1** სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

**შეფასება:**

სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის წარმართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხებისა და საკუთარი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესაძლებლობათა შესახებ;

ასევე, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა დახმარების სერვისი, რაც მოიცავს ადმინისტრაციულ (რეგისტრაცია, კონსულტაცია და ა. შ.) და სოციალურ (რჩევები) ნაწილს.

**დასტურდება:**

- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;
- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის შინაარსით;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით;

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**3.2** დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

**შეფასება:**

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკში გამოყოფილია სტუდენტთან ინდივიდუალური კონსულტაციის დრო, რაც მითითებულია სილაბუსებში. ეს გულისხმობს კონსულტაციის გაწევას საპრეზენტაციო, საკონფერენციო და სამაგისტრო ნაშრომებზე დამოუკიდებლად მუშაობისას.

ყველა სილაბუსში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო საკონ-სულტაციო გრაფიკი იკვრება საინფორმაციო დაფაზე, რათა სტუდენტსა და ლექტორს შორის მჭიდრო კომუნიკაციამ ხელს შეუწყოს სწავლის ხარისხის ამალებას.

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებით;
- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტებით;

**3.3** დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

**შეფასება:**

სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის მიზნით უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ჩატარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია; სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ კონფერენციებში.

ასევე, უნივერსიტეტი მხარს დაუჭრს სტუდენტებს მათ გავითარებაზე ორიენტირებულს სხვა კულტურულ, ლიტერატურულ, ინტელექტუალურ, სპორტულ, გასართობ თუ საქველმოქმედო ღონისძიებებში.



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**დასტურდება:**

- წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი მარეგულირებელი დოკუმენტებით;

**3.4** დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

**შეფასება:**

წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიაზაციას. ამისათვის უნივერსიტეტში ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები; ეწყობა სამეცნიერო სესიები, ღია ლექციები და ა. შ. იბეჭდება აკადემიურინპერსონალისად ა სტუდენტთა სამეცნიერო აქტოვობის ამსახველი მასალები.

**დასტურდება:**

- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებით;
- შოთა რუსთაველის კაბინეტის წესდებით;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალით;
- უცხოურ ორგანიზაციებთან და უსდ-ებთან დადებული მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით.



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

**4.1** დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

**შეფასება:**

წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტი ფლობს პროგრამის შესაბამის საერთო, დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს. დაწესებულებას გააჩნია საჭირო წიგნადი ფონდის მქონე ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კაბინეტები და ლაბორატორიები;

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად განხორციელებისათვის საჭირო გარემო: ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდების სისტემა; კეთილმოწყობილი სველი წერტილები; ბუნებრივი განათება; გათბობის თანამედროვე საშუალებები; დაცულია უსაფრთხოების (საევაკუაციო-სახანძრო), ჯანდაცვისა (სამედიცინო პუნქტი) და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

**დასტურდება:**

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საბალანსო დოკუმენტაციით.

**4.2** კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიისა და სხვა შესაბამის დეპარტამენტებში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი საკმარისი რაოდენობით.

**დასტურდება:**

- კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებითა და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

**4.3** პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის გარდა, ჩართულია, ასევე, კვალიფიციური დამხმარე პერსონალი.

**დასტურდება:**

- პერსონალის დაქირავების/სამუშაოზე აყვანის მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- აკადემიური პერსონალის კვლიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

**4.4** სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

**შეფასება:**

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ძირითადად ეფუძნება თანამედროვე სასწავლო მასალასა და სამეცნიერო ცოდნას. გამოყენებულია ცნობილ მეცნიერთა ის ნაშრომებიც, რომელთაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ.



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა; უნივერსიტეტის ფონდში არსებული ბეჭდური და ელექტრონული წიგნებით სარგებლობა ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია სამკითხველო დარბაზში.

**დასტურდება:**

- ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული კატალოგით;
- ფაქტობრივი მასალით;
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით;

**4.5** არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ, რამაც უნდა განაპირობოს მისი ფინანსური მდგრადობა.

**დასტურდება:**

- სასწავლო მუნივერსიტეტის ფინანსური საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტებით.

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

**5.1** მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს

**შეფასება:**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფცია, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურად განხორციელებას;

ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მუშავდება სწავლების განსახორციელებლად საჭირო პროგრამის კურიკულუმი, იგეგმება სასწავლო პროცესი და სისტემატურად მიმდინარეობს მისი კონტროლი;



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მუშავდება სხვადასხვა ტიპისა და მიზანდასახულების კითხვარები; გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი სამოქმედო სტარატეგია.

**დასტურდება:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი მასალით;

**5.2** შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

**შეფასება:**

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად იყენებს შიდა შეფასებას, რაც გულისხმობს რიგი პროცედურების განხორციელებს ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში.

გარე შეფასება პროგრამული აკრედიტაციის სახით პროგრამას ჯერ არ მიუღია.

**დასტურდება:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- პერსონალთან გასაუბრებით;
- ფაქტობრივი მასალით.



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:**

1. განსახორციელებელი პროგრამის ფინანსურ გეგმაში ერთგვარად არარეალისტურად გამოიყურება ჩასარიცხი კონტინგენტის რაოდენობა – 30 სტუდენტი. სასურველია, ანალოგიური პროგრამების მონაცემების გათვალისწინებით რეალობასთან მიახლოებული რაოდენობის ჩაწერა.
2. პროგრამის კურიკულუმში (დანართი # 2), სადაც საუბარია კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებზე ვკითხულობთ: „ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიული საქმიანობა განახორციელოს . . . ბიბლიოთეკებსა და არქივებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობებსა და მასმედიის საშუალებებში“. სამწუხაროდ, პროგრამა არ იძლევა სათანადო კომპეტენციას ხსენებულ საქმიანობათა განსახორციელებლად. საჭიროა, ამ შემთხვევაშიც მიეთითოს, რომ აღნუშნულ უწყებებში სამუშაოდ კურსდამთავრებულისათვის აუცილებელია დამატებითი კვალიფიკაციის მიღება (ისევე როგორც ეს მითითებულია საჯარო და კერძო სკოლებთან მიმართებით).

   ამასთან ერთად შევნიშნავთ, რომ სტილისტ-რედაქტორად მუშაობისათვის აუცილებელია ბევრად უფრო სერიოზული კვალიფიკაცია ვიდრე ერთი არჩევითი სტატუსის მქონე საგნის მოსმენა.
3. პროგრამაში, სემესტრების მიხედვით განაწილებულ სასწავლო კურსების ნუსხაში ნაწილობრივ დარღვეულია ძირითადი საგნების განლაგების მთავარი პრინციპი: მაგალითად, მესამე სემესტრში ერთდროულად იკითხება 3 საგანი (ცხადია წინაპირობის გარეშე): მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართული ლეტერატურები და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი. მაშინ როდესაც პირველ სემესტრში იკითხება ძველი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ქართული სასულიერო მწერლობა, რომელიც წინაპირობაა მეორე სემესტრში შეთავაზებული საგნისა XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. ზემოთ დასახელებული 3 საგნის შემთხვევაში აღნიშნული ურთიერთიმართება იგნორირებულია. ამ ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით ჩვენ მიერ შეთავაზებულია საგანთა განაწილების შემდეგი მოდელი: *პირველი სემესტრი: ძველი ქართული მწერლობა 10 კრედიტი, ლიტთეორია 5 კრედიტი, ინგლისური 5 კრედიტი, 2 არჩევითი 10 კრედიტი; მეორე სემესტრი: სახისმეტყველება 5 კრედიტი, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა 5 კრედიტი, ფოლკლორი და ლიტერატურა 5 კრედიტი, ინგლისური 5 კრედიტი, 2 არჩევითი 10 კრედიტი; მესამე სემესტრი: ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი 5 კრედიტი, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა 5 კრედიტი, თანამედროვე ლიტეტარტურული პროცესები 5 კრედიტი, ლიტერატურათმეცოდნეობითი კვლევის მეთოდები 5 კრედიტი, 2 არჩევითი 10 კრედიტი.*

4. სილაბუსთა ნაწილში, ძირითადად შედეგებში, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები გათვალისწინებულია ტერმინოლოგიის დონეზე, მაგალითად, ჩასმულია ტერმინები *„... აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს“* და სხვ. ეს არის ერთგვარი ვალის მოხდა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებისადმი, მაგრამ შემდეგი მსჯელობა არ ამართლებს ამ ტერმინებით გათვალისწინებულ შინაარსს და სილაბუსიც ერთგვარად საბაკალავრო დონისად გამოიყურება. აუცილებელია სამაგსიტრო დონის მაჩვენებელი მოთხოვნები ასახული იყოს სილაბუსის მიზნებში, შინაარსსა და გამოყენებულ ლიტერატურაშიც.
5. სასურველია სილაბუსებში შეფასების სისტემა იყოს უფრო მოქნილი, ანუ კომპონენტთა ქულების შორის არსებობდეს ლოგიკური თანაფარდობა – შდრ.: რეფერატი ფასდება 5 ქულით, ხოლო ფინალური საგამოცდო ერთი საკითხი – 10 ქულით. ვფიქრობთ, დასაზუსტებელია რეფერატების მომზადებისა და წარდგენის პრონციპიც. კერძოდ, საგანთა უმეტესობა ითვალისწინებს სემესტრის მანძილზე 2 რეფერატის დაწერას (მე-5-ე და მე-11-ე კვირაში), ხოლო საგანთა ნაწილი კი – მხოლოდ პრეზენტაციის წარდგენას. უმჯობესი იქნება, კომპეტენციის დონის განმსაზღვრელ საგნებში მაინც სტუდენტს დაევალოს ერთი რეფერატის დაწერა და ამავე რეფერატის პრეზენტაციის სახით



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

წარდგენა (5+5 ქულა). ეს სტუდენტს განუვითარებს არამარტო კვლევის უნარს არამედ საკუთარი ნააზრევის აუდიტორიის წინაშე წარდგენის ჩვევასაც. რეფერატის არსებობის პირობებში საჭიროა პროგრამას დაერთოს მკაფიოდ გაწერილი მოთხოვნები (რეფერატის მოცულობა, შრიფტი, ინტერვალი, სლაიდების რაოდენობა და ა.შ.).

სასურველია ასევე რეალური იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების გაწერა, რადგან პროგრამაში არსებული კვირაში 6 საათი ანუ მთლიანად 90 საათი არარეალურია. ვფიქრობთ, ამისათვის მაქსიმუმ 30 საათი ანუ კვირაში 2 საათი სავსებით საკმარისია.

III. ინფორმაცია ვიზიტის მიმდინარეობის შესახებ

I დღე - 05/30/17

11:00 – 13:00 დოკუმენტების ანალიზი
13:00 – 14:00 – შესვენება
14:00 – 16:00 – თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრა (ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროგრამის კოორდინატორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, იურისტი, პროგრამის ექსპერტი (არსებობის შემთხვევაში))
16:00 – 17:00 ექსპერტთა ჯგუფის დღის შემაჯამებელი შეხვერდა

II დღე - 05/31/17
11:00 – 11:30 – ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა
11:30 – 13:00 – აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა (ლია კარიჭაშვილი, საბა მეტრეველი, მაია ჯალიაშვილი, ნათია სიხარულიძე, თინათინ ბიგალიშვილი და ა. შ.)
13:00 – 14:00 – შესვენება
14:00 – 15:00 – დამსაქმებლებთან /პოტენციურ სტუდენტებთან შეხვედრა (როსტომ ჩხეიძე, ნინო ბერაძე და ა. შ.)
15:00 – 16:00 - მატერიალურ- ტექნიკური ბაზის დათვალიერება
16:00 – 17:00 - ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი შეხვედრა
17:00 – 17:30 – შეხვედრა ადმინისტრაციასთან ვიზიტის საბოლოო შედეგების გასაცნობად



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

ქ. თბილისი
(შევსების ადგილი)

31 მაისი, 2107
თარიღი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.